თვითშეფასების ტაბულა ქართული ენის შემსწავლელთათვის

		A_1	A_2	B_1	B_2	C_1	C_2
ენა	მოსმენა	შეუძლია იმ მარტივი სიტყვებისა და ფრაზების გაგება, რომლებიც მას, მის ოჯახსა და ახლო გარემოცვას ეხება, მაშინ, როცა ლაპარაკობენ ნელა და მკაფიოდ.	შეუძლია ცალკეული ფრაზებისა და ხშირად ხმარებული სიტყვების გაგება ისეთ გამოთქმებში, რომლებიც მისთვის საინტერესო თემებს ეხება (მაგ., ძირითადი ინფორმაცია საკუთარი თავის, ოჯახის, საცხოვრებელი ადგილის, სამუშაოს შესახებ); შეუძლია იმის გაგება, თუ რაზეა საუბარი მარტივ, მკაფიოდ ნათქვამ შეტყობინებებსა და განცხადებებში.	შეუძლია გაიგოს სტანდარტული მეტყველების მთავარი აზრი, რომელიც რეგულარულად ესმის სამსახურში, სკოლაში, დასვენების პერიოდში და ა.შ. შეუძლია რადიო და ტელეპროგრამებში თავის პირად და პროფესიულ ინტერესებთან დაკავშირებული, მიმდინარე საკითხების მთავარი აზრის გაგება, თუ მეტყველებენ შედარებით ნელა და მკაფიოდ.	შეუძლია გაიგოს ვრცელი მოხსენება თუ ლექცია, რომელიც შეიცავს რთულ არგუმენტებს, თუკი ამ გამოსვლათა თემატიკა მისთვის მეტ-ნაკლებად ცნობილია; შეუძლია გაიგოს ყველა რეპორტაჟი და ახალი ამბები მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით; შეუძლია გაიგოს ფილმების შინაარსი, თუ მათი გმირები სალიტერატურო ენით მეტყველებენ.	შეუძლია გაიგოს ვრცელი მოხსენება იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას არ გააჩნია მკაფიოდ გამოხატული სტრუქტურა და აზრობრივი კავშირი; შეუძლია სატელევიზიო პროგრამებისა და ფილმების თითქმის თავისუფლად გაგება.	შეუძლია თავისუფლად გაიგოს ნებისმიერი ზეპირი მეტყველება (ცოცხალი თუ ჩაწერილი); შეუძლია თავისუფლად გაიგოს სწრაფად მოლაპარაკე ენის მატარებლის მეტყველება, თუ აქვს დრო, მიეჩვიოს მისი გამოთქმის ინდივიდუალურ თავისებურებებს.
	კითხვა	შეუძლია განცხადებებ-ში, პოსტერებზე ან კატალოგებში განთავსებულ მარტივ წინადადებებში ნაცნობი სიტყვებისა და სახელების გაგება.	შეუძლია ძალიან მოკლე ტექსტების გაგება; შეუძლია ყოველდღიური ურთიერთობის მარტივ ტექსტებში: რეკლამაში, მენიუში, განრიგებში კონკრეტული, ადვილად სავარაუდო ინფორმაციის პოვნა; შეუძლია კერძო ხასიათის წერილების გაგება.	შეუძლია ყოველდღიური და პროფესიული ურთიერთობების ენობრივ მასალაზე აგებული ტექსტის გაგება; შეუძლია კერძო ხასიათის წერილებში აღწერილი მოვლენებისა და გრძნობების გაგება.	შეუძლია იმ სტატიებისა და მოხსენებების გაგება, რომლებიც ეხება თანამედროვე პრობლე-მებს და რომელთა ავტორებიც გამოთქვამენ განსაკუთრებულ აზრს ან უკავიათ განსაკუთრებული პოზიცია. შეუძლია თანამედროვე მხატვრული ლიტერატურის გაგება.	შეუძლია დიდი მოცულობის რთული არამხატვრული და მხატვრული ტექსტებისა და მათი სტილისტური თავისებურებების გაგება. ესმის დიდი მოცულობის სპეციალური სტატიები და ტექნიკური ინსტრუქ-ციები, იმის მიუხედავად, ეხება ისინი მისი საქ-მიანობის სფეროს თუ არა.	თავისუფლად შეუძლია ყველა ტიპის ტექსტის გაგება, კომპოზიციური ან ენობრივი თვალსაზრისით რთული ან აბსტრაქტული ხასიათის ტექსტების ჩათვლით, როგორიცაა ინსტრუქ-ციები, სპეციალური სტატიები და მხატვრული ნაწარმოებები.

ვნდეგუსიონგ	ლაპარაკი	შეუძლია მარტივი წინადადებისა და ფრაზების გამოყენებით მოყვეს თავისი ნაცნობებისა და საცხოვრებელი ადგილის შესახებ; შეუძლია მარტივი შეკითხვის დასმა და პასუხის გაცემა მისთვის ნაცნობი ან საინტერესო თემების ფარგლებში; შეუძლია მარტივი დიალოგი პიროვნებასთან, თუ ის მისი თხოვნით გაიმეორებს თავის ნათქვამს, ან ჩამოაყალიბებს ნათქვამს უფრო ნელი ტემპით და დამეხმარება მას სათქმელის ფორმულირებაში.	შეუძლია მარტივი ფრაზებითა და წინადადებით მოყვეს თავისი ოჯახისა თუ სხვების ცხოვრების, სწავლის, საქმიანობის შესახებ; შეუძლია ჩაებას ძალიან მოკლე საუბარში საყოფაცხოვრებო თემებზე, მაგრამ იმისთვის რომ დამოუკიდებლად წარმართოს საუბარი, ჯერ ბევრი რამ არ ესმის; შეუძლია ურთიერთობა ისეთ ჩვეულებრივ, მარტივ სიტუაციებში, რომლებშიც მოეთხოვება მისთვის ნაცნობი თემებისა და საქმიანობის ფარგლებში ინფორმაციის უშუალო გაცვლა;	შეუძლია მოკლედ ახსნას და დაასაბუთოს თავისი შეხედულებები და გეგმები; შეუძლია ამბის მოყოლა, წიგნის ან ფილმის შინაარსისა და თავისი შთაბეჭდილების გადმოცემა; შეუძლია მარტივი საშუალებებით ერთმანეთს დაუკავშიროს ფრაზები, რომ აღწეროს შთაბეჭდილებები და მოვლენები, მოყვეს საკუთარი ოცნებების, იმედებისა და სურვილების შესახებ; შეუძლია იმ მრავალგვარ სიტუაციაში ურთიერთობა, რომელიც წარმოიშობა შესასწავლი ენის ქვეყანაში ყოფნისას; შეუძლია მოუმზადებლად მიიღოს მონაწილეობა მისთვის ნაცნობ/საინტერესო თემებზე (მაგ. “ოჯახი”, “ჰობი”, “სამსახური”, “მოგზაურობა”, “მიმდინარე	შეუძლია ნათლად და დასაბუთებულად გამოხატოს საკუთარი თვალსაზრისი ჩემთვის საინტერესო საკითხებზე. შეუძლია განმარტოს საკუთარი შეხედულება აქტუალურ თემასთან დაკავშირებით, წარმოაჩინოს ყველა დადებითი და უარყოფითი არგუმენტი; შეუძლია სპონტანურად და შეუფერხებლად ისაუბროს შესასწავლი ენის მატარებლებებთან. შეუძლია აქტიური მონაწილეობა მიიღოს დისკუსიებში, რომლებიც მისთვის ნაცნობ თემებს ეხება, დაასაბუთოს და დაიცვას თავისი შეხედულებები.	შეუძლია რთული თემების ნათლად და საფუძვლიანად გადმოცემა, შემადგენელი ნაწილების გაერთიანება, ცალკეულ დებულებათა განვითარება და სათანადო დასკვნების გამოტანა; შეუძლია სიტყვების დაუბრკოლებლად შერჩევა და საკუთარი აზრის სპონტანურად და სიძნელეების გარეშე გამოხატვა. მისი მეტყველება გამოირჩევა ენობრივ საშუალებათა მრავალფეროვნებითა და ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო თუ პროფესიულ ურთიერთობებში მათი ხმარების სიზუსტით. შეუძ-ლია საკუთარი აზრების მკაფიოდ ფორმულირება და თავისი თვალსაზრისის გამოხატვა, ამასთანავე, ნებისმიერ საუბარში აქტიურად ჩაბმა.	შეუძლია სიტუაციიდან ამოსვლით აზრის თავისუფლად და არგუმენტირებულად გამოთქმა შესაბამისი ენობრივი საშუალებების გამოყენებით; შეუძლია მოხსენების იმდენად ლოგიკურად აგება, რომ მიიქციოს მსმენელთა ყურადღება, დაეხმაროს მათ უფრო მნიშვნელოვანი დებულების გამოყოფასა და დამახსოვრებაში; შეუძლია თავისუფლად მიიღოს მონაწილეობა ნებისმიერ საუბარსა თუ დისკუსიაში. ფლობს ნაირგვარ იდიომატურ და სამეტყველო გამოთქმას. სწრაფად და ადვილად მეტყველებს და შეუძლია მნიშვნელობების სხვადასხვა ნიუანსის გამოხატვა. თუ უჩნდება სიძნელე ენობრივ საშუალებათა გამოყენებაში, მას შეუძლია, დამსწრეთათვის შეუმჩნევლად, თავისი გამონათქვამის სწრაფად პერიფრაზირება.

	წერა	შეუძლია მისალოცი ბარათების წერა, ფორმულარების შევსება, სასტუმროს სარეგისტ-რაციო ფურცელში გვარის, მოქალაქეობის, მისამართის შეტანა.	შეუძლია მოკლე შეტ-ყობინებათა და ბარათე-ბის წერა. შემიძლია მარტივი პირადი ხასია-თის წერილის დაწერა (მაგ., ვინმეს მიმართ მადლიერების გრძნობის გამოხატვა).	შეძლია მისთვის ნაც-ნობ ან საინტერესო თემებზე მარტივი გაბმუ-ლი ტექსტის დაწერა; შეუძლია თავის მიღ-წევებსა და შთაბეჭდი-ლებებზე კერძო ხასი-ათის წერილის დაწერა.	შეუძლია მკაფიო, დეტალური ტექსტის დაწერა, რომელიც შეე-ხება მისთვის საინტე-რესო, მრავალფე-როვან საკითხებს; შეუძლია დაწეროს ესე ან მოხსენება, გააშუქოს ინფორმაცია დადებითი ან უარყოფითი თვალ-საზრისის დასაბუთე-ბით; შეუძლია დაწეროს წე-რილები, რომლებშიც კარგად წარმოაჩენს მისთვის მნიშვნელოვან მოვლენებსა და შთა-ბეჭდილებებს.	შეუძლია წერილობითი ფორმით მკაფიოდ და ლოგიკურად გამოხა-ტოს თავისი აზრები და თვალსაზრისი; შეუძლია წერილში, ესეში ან მოხსენებაში დეტალურად გადმო-ცეს რთული პრობ-ლემები და ამასთანავე გამოყოს მნიშვნელო-ვანი საკითხები; შეუძლია იმ ენობრივი სტილის გამოყენება, რომელიც შეეფერება სავარაუდო ადრესატს.	შეუძლია საკუთარი აზრე-ბის ლოგიკურად და თან-მიმდევრულად გამოხატვა აუცილებელი ენობრივი საშუალებების გამოყენე-ბით; შეუძლია ისეთი რთული წერილების, მოხსენებების, ანგარიშების ან სტატიების წერა, რომლებსაც აქვთ მკა-ფიო ლოგიკური სტრუქტუ-რა და ეხმარება რეციპიენტს მნიშვნელოვანი მომენტე-ბის შენიშვნასა და დამახ-სოვრებაში. შეუძლია რე-ზიუმეებისა და რეცენზიე- ბის დაწერა, როგორც პროფე-სიული ხასიათის ნაშრო-მებზე, ისე მხატვ-რულ ნაწარმოებებზე.